ხელშეკრულება №234
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

4 ნოემბერი 2015 წელი

ქ. წყალტუბო

ერთი მხრივ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის კონსტანტინე მამისეიშვილის სახით და მეორე მხრივ, შპს "ჩვენი ქალაქი ს.ა.ა.დ", (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი სოფიო ვარდანიძის სახით, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ს¹" ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის ფორმით დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება**

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურეობის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

**2. ხელშეკრულების საგანი**

2.1 ზურაბ ბადირეიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ საკალათბურთო ტურნირში მონაწილეთა (20 მონაწილე) კვებითი მომსახურეობა;

2.2 კლასიფიკატორის კოდი: ( 55510000);

**3. ხელშეკრულების ღირებულება**

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 400 (ოთხასი) ლარი (დანართი 1-ის შესაბამისად).

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

**4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები**

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის მიწოდების შემდეგ, საგადამხდელო დოკუმენტაციის საფუძველზე.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიერად გაწეული მომსახურეობის შესაბამისად, საგადამხდელო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

4.4. მომსახურების მოწოდება მოხდება 2015 წლის 6 ნოემბრის ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

**5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი**

5.1. მოსახურება ჩაითვლება მიწოდებულად, მხოლოდ გაწეული მომსახურეობის დამადასტურებელი საგადამხდელო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ. მიღება-ჩაბარების აქტზე "შემსყიდველის" მხრიდან ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსს.

**6. მომსახურების მიწოდების ადგილი და ვადა**

6.1. მოსახურების მიწოდება განხორციელდება ქ. წყალტუბოში, (რესტორანი "ჩვენი ქალაქი").

6.2. მომსახურების მიწოდება განხორციელდება ერჯერადად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

**7. მხარეთა უფლება–მოვალეობები**

7.1 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მოსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
7.3. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს მოსახურება სათანადო ხარისხით.

**8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის**

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

**9. ფორს-მაჟორი**

9.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

**10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა**

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 10.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ

10.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

**11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი**

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

## მხარეთა იურიდიული მისამართები:

| შემსყიდველი: | მიმწოდებელი: |
|---|---|
| წყალტუბოს მუნიციპალიტეტი | შპს "ჩვენი ქალაქი ს.ა.ა.დ" |
| მის: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ.№25 | მის: ქ. წყალტუბო, წერეთლის ქ. 9 |
| ს/ს „ლიბერთი ბანკის" წყალტუბოს ფილიალი | ს/ს „საქართველოს ბანკი" |
| ბ/კოდი: LBRTGE22 | ბ/კოდი: BAGAGE22 |
| ა/ა №GE25LB0120123490525000 | ა/ა №GE52BG0000000798267000 |
| ს/კოდი: 221274546 | ს/კოდი: 421267952 |
| მუნიციპალიტეტის გამგებელი | დირექტორი |
| კონსტანტინე მამისეიშვილი | სოფიო ვარდანიძე |
| ბ. ა. | ბ. ა. |

დანართი 1

| № | გაწეული მომსახურეობის ან შესრულებული სამუშაოს დასახელება | ზომის ერთეული | რაოდენობა | ერთეულის ფასი | თანხა (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | პური | ცალი | 20 | 0.5 | 10 |
| 2 | ყველი | ულუფა | 4 | 5 | 20 |
| 3 | კიტრი-პომიდვრის სალათა | ულუფა | 5 | 4 | 20 |
| 4 | ხაჭაპური | ცალი | 8 | 6 | 48 |
| 5 | ქაბაბი | ულუფა | 6 | 6 | 36 |
| 6 | ლიმონათი | ცალი | 20 | 1 | 20 |
| 7 | ხინკალი | ცალი | 60 | 0,6 | 36 |
| 8 | ვინეგრეტი | ულუფა | 6 | 4 | 24 |
| 9 | ფრი | ულუფა | 8 | 3 | 24 |
| 10 | ბაკურიანის წყალი | ცალი | 16 | 0,5 | 8 |
| 11 | ლობიანი | ცალი | 6 | 5 | 30 |
| 12 | ღორის მწვადი | ულუფა | 6 | 9 | 54 |
| 13 | ხბოს მწვადი | ულუფა | 6 | 8 | 48 |
| 14 | საწებელი | ულუფა | 10 | 1 | 10 |
| 15 | ბორჯომი | ცალი | 12 | 1 | 12 |
| | ჯამი | | | | 400ლარი |

შპს "ჩვენი ქალაქი ს.ა.ა.დ"
დირექტორი: სოფიო ვარდანიძე